საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1380

24/09/2021

ქ. თბილისი

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ „შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრეზე“ გადაცემის შესახებ

2021 წლის 3 სექტემბერს სამინისტროს განცხადებით მომართეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“ და შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრის“ გენერალურმა დირექტორებმა. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრეზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2018 წლის 25 მაისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-385 ბრძანება „შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“. აღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შესწორების მიზნით, 2021 წლის 30 ივნისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-993 ბრძანება „შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 მაისის №2-385 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

2021 წლის 16 ივლისს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე შპს „RMG Gold“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 მაისის №2-385 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრეს“;
2. შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრემ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 მაისის №2-385 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაზე“ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 16 ივლისის №2-1093 ბრძანება;
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრეს“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრისა“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი,

მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი



მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი